

შპს „ბასა გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	1
---	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
განმარტებითი შენიშვნები	6

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში („ლ“).

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ბასა გრუპ“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 15 სექტემბერს.



არსენ ახვერდოვი

დირექტორი



ნათია სადირაშვილი

მთავარი ბუღალტერი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ბასა გრუპ“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 15 სექტემბერს.

არსენ ახვერდოვი

დირექტორი

ნათია საღირაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შპს „ბასა გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ათას ქართულ ლარში

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


	გ/შ	2022	2021
საოპერაციო შემოსავალი	4	12 524	13 390
თვითღირებულება	5	(8 714)	(9 328)
საერთო მოგება		<u>3 810</u>	<u>4 062</u>
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(1 323)	(1 333)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	6	(119)	(126)
სხვა შემოსავალი (ხარჯი)		-	(1)
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		<u>83</u>	<u>8</u>
წლიური მოგება/(ზარალი)		<u>2 451</u>	<u>2 610</u>

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 15 სექტემბერს.



არსენ ახვერდოვი

დირექტორი



ნათია საღირაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შპს „ბასა გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათას ქართულ ლარში

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	გ/შ	2022	2021
საოპერაციო შემოსავალი	4	12 524	13 390
თვითღირებულება	5	(8 714)	(9 328)
საერთო მოგება		3 810	4 062
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(1 323)	(1 333)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	6	(119)	(126)
სხვა შემოსავალი (ხარჯი)		-	(1)
მოგება/(ზარალი) საკუთარ სხვაობიდან, წმინდა		83	8
წლიური მოგება/(ზარალი)		2 451	2 610

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 15 სექტემბერს.

არსენ ახვერდოვი

დირექტორი

ნათია საღირაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შპს „ბასა გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ათას ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


	გ/შ	31.დეკ.22	31.დეკ.21
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	2 471	1 787
არამატერიალური აქტივები		10	8
		<u>2 481</u>	<u>1 795</u>
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	7 227	5 435
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	2 347	3 222
ფული და ფულის ექვივალენტები	10	471	400
		<u>10 045</u>	<u>9 057</u>
სულ აქტივები		<u><u>12 526</u></u>	<u><u>10 852</u></u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		575	1 041
გაუნაწილებელი მოგება		10 669	8 654
		<u>11 244</u>	<u>9 695</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ვალდებულება გრძელვადიანი აქტივების შემენიდან		15	15
გრძელვადიანი სესხი	11	278	198
		<u>293</u>	<u>213</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხის მოკლევადიანი ნაწილი	11	699	589
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	290	355
		<u>989</u>	<u>944</u>
სულ ვალდებულებები		<u>1 282</u>	<u>1 157</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u><u>12 526</u></u>	<u><u>10 852</u></u>

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 15 სექტემბერს.



არსენ ახვერდოვი

დირექტორი



ნათია სადრაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შპს „ბასა გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათას ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	გ/შ	31.დეკ.22	31.დეკ.21
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	2 471	1 787
არამატერიალური აქტივები		10	8
		2 481	1 795
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	7 227	5 435
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	2 347	3 222
ფული და ფულის ექვივალენტები	10	471	400
		10 045	9 057
სულ აქტივები		12 526	10 852
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		575	1 041
გაუნაწილებელი მოგება		10 669	8 654
		11 244	9 695
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ვალდებულება გრძელვადიანი აქტივების შეძენიდან		15	15
გრძელვადიანი სესხი	11	278	198
		293	213
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხის მოკლევადიანი ნაწილი	11	699	589
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	290	355
		989	944
სულ ვალდებულებები		1 282	1 157
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		12 526	10 852

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 15 სექტემბერს.

არსენ ახვერდოვი

დირექტორი

ნათია საღირაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შპს „ბასა გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ათას ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	961	6 419	7 380
წლიური მოგება	-	2 610	2 610
დივიდენდების გადახდა	-	(375)	(375)
კაპიტალის ზრდა	312	-	312
კაპიტალიდან გატანა	(232)	-	(232)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 041	8 654	9 695
წლიური მოგება	-	2 451	2 451
დივიდენდების გადახდა	-	(436)	(436)
კაპიტალის ზრდა	-	-	-
კაპიტალიდან გატანა	(466)	-	(466)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	575	10 669	11 244

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 15 სექტემბერს.



არსენ ახვერდოვი

დირექტორი



ნათია სალირაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შპს „ბასა გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათას ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	961	6 419	7 380
წლიური მოგება	-	2 610	2 610
დივიდენდების გადახდა	-	(375)	(375)
კაპიტალის ზრდა	312	-	312
კაპიტალიდან გატანა	(232)	-	(232)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 041	8 654	9 695
წლიური მოგება	-	2 451	2 451
დივიდენდების გადახდა	-	(436)	(436)
კაპიტალის ზრდა	-	-	-
კაპიტალიდან გატანა	(466)	-	(466)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	575	10 669	11 244

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 15 სექტემბერს.

არსენ ახვერდოვი

დირექტორი

ნათია საღირაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შპს „ბასა გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
ათას ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2 451	2 610
წლიური მოგება		
კორექტირებები:		
- მოთხოვნების გაუფასურება	39	34
- მარაგების გაუფასურება	9	362
- ცვეთა და ამორტიზაცია	61	27
- საპროცენტო ხარჯი	119	126
- მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა	(83)	(8)
- სხვა შემოსავალი (ხარჯი)	-	1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)	836	(1 993)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ზრდა/(შემცირება)	(1 801)	(1 150)
სავაჭრო ვალდებულებების შემცირება/(ზრდა)	(37)	233
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები	1 594	242
გადახდილი პროცენტი	(119)	(126)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	1 475	116
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	33
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	(744)	(157)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2)	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	(746)	(124)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	1 182	440
სესხების აღება	(931)	(683)
სესხების გადახდა	-	312
კაპიტალის შევსება	(466)	(232)
კაპიტალის შემცირება	(436)	(374)
დივიდენდების გადახდა	(651)	(537)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში	78	(545)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(7)	(2)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	400	947
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	471	400

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,
ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 15 სექტემბერს.

არსენ ახვერდოვი

დირექტორი

ნათია საღირაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შპს „ბასა გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ათას ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლიური მოგება	2 451	2 610
კორექტირებები:		
- მოთხოვნების გაუფასურება	39	34
- მარაგების გაუფასურება	9	362
- ცვეთა და ამორტიზაცია	61	27
- საპროცენტო ხარჯი	119	126
- მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	(83)	(8)
- სხვა შემოსავალი (ხარჯი)	-	1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)	836	(1 993)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ზრდა/(შემცირება)	(1 801)	(1 150)
სავაჭრო ვალდებულებების შემცირება/(ზრდა)	(37)	233
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები	1 594	242
 გადახდილი პროცენტი	(119)	(126)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	1 475	116
 ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	-	33
ძირითადი საშუალებების შეძენა	(744)	(157)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(2)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(746)	(124)
 ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების აღება	1 182	440
სესხების გადახდა	(931)	(683)
კაპიტალის შევსება	-	312
კაპიტალის შემცირება	(466)	(232)
დივიდენდების გადახდა	(436)	(374)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	(651)	(537)
 წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში	78	(545)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(7)	(2)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	400	947
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	471	400

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 15 სექტემბერს.

არსენ ახვერდოვი

ნათია საღირაშვილი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს „ბასა გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათას ქართულ ლარში

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

„ბასა გრუპი“ („კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. სპეციალიზირებულია მძიმე ტექნიკის სათადარიგო ნაწილების საცალო და საბითუმო ვაჭრობაში. მისამართი: საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გლდანი, II მ/რ, კორ.36. ბ.10

მაღაზიების მისამართები:

1. ქ. თბილისი აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ;
2. ქ. თბილისი, სოფელი დიდი ლილო, კახეთის გზატკეცილი;
3. ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ.16;
4. ხაშურის რ-ნი დაბა სურამი;
5. ქ. თბილისი, ზაჰესის დასახლება, ავჭალის ქუჩა N53.

კომპანიის წილები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

არსენ ახვერდოვი 20%

ბახდიარ იუსუბოვი 35%

გაბილ ნასიბოვი 35%

ოქტაი შაჰბაზოვ 10%

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის (მოგება-ზარალის), ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია წარმოადგენს მოგება-ზარალის ანგარიშგებას ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, რადგან თვლის, რომ ანგარიშგების მკითხველს უფრო გამოსადეგ ინფორმაციას აძლევს ეს მეთოდი, ვინაიდან იგი უკეთესად ასახავს თუ როგორ იმართება ოპერაციები ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე / გრძელვადიან დაყოფას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელებია, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელებია, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი კომპანიის წესდებით განისაზღვრება. ავტორიზებული. კაპიტალის საწესდებო კაპიტალად აღიარება ხდება კომპანიის საკუთარ კაპიტალში კომპანიის მფლობელის მიერ განხორციელებული შენატანების ოდენობით.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი.

შემოსავალი აღიარდება რეალიზაციის განხორციელებისას, ამ შემოსავლის მისაღებად გაწეული ხარჯების შესაბამისად. შემოსავალი არის რეალიზაციის საფასურად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას გამოკლებული უკან დაბრუნებები, სავაჭრო ფასდაკლებები და მსგავსი ანარიცხები (ასეთების არსებობის შემთხვევაში).

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგებაში, თუკი წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური მოგების შემცირება, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

შპს „ბასა გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათას ქართულ ლარში

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯები აღარ იწვევს მომავალ ეკონომიკურ მოგებას, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს აქტივის ბალანსში აღიარების მოთხოვნებს. კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირადად არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირადად დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების, აღირიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

მიწა - არ იცვითება

შენობა ნაგებობა (მშენებარე) - მშენებლობის პროცესში, ექსპლუატაციაში შესვლამდე არ იცვითება

შენობა ნაგებობა - 2% წრფივად;

სატრანსპორტო საშუალებები - 5%; წრფივად;

ავეჯი და ოფისის ტექნიკა - 10%; წრფივად;

მანქანა დანადგარები - 10%; წრფივად;

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 10%; წრფივად.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით.

ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის (15% წრფივი) გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

იჯარით აღებული აქტივები

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა (ლიზინგი) თუ მფლობელობასთან დაკავშირებული რისკები და უკუგება მნიშვნელოვანწილად გადმოდის კომპანიაში. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ აღგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ ხელფასებს და ნორმალური ფუნქციონირების შესაბამის საწარმოო ზედნადებ დანახარჯებს.

მომძველებელი მარაგების ჩამოწერა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

ფინანსური ინსტრუმენტები

მსს ფასს მე-11 განყოფილების მიხედვით - „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“, კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ ფინანსური ინსტრუმენტები დააკლასიფიცირა, როგორც სესხები და მოთხოვნები. ეს ფინანსური აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, სადაც პროცენტი უმნიშვნელოა), რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქმნილი ზარალი. გაუფასურების ინდიკატორების შეფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. როგორც წესი, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო ნაშთები და ფული კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როცა ინვესტიციიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოიწურება ან გადაიცემა მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკთან და უკუგებასთან ერთად.

ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველად აღიარებული ღირებულება ჩვეულებრივ არ იცვლება ხოლმე, ვინაიდან ვალდებულება ზუსტადაა ცნობილი და ანგარიშსწორება მოსალოდნელია მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იქვითება და წმინდა თანხის წარმოდგენა ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როცა არსებობს გაქვითვის იურიდიული უფლება და ანგარიშსწორების გაქვითულ თანხაზე წარმოების განზრახვა.

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები არის საპროცენტო და სხვა დანახარჯები რომელსაც, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული სესხით სარგებლობასთან.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებია: ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული საპროცენტო ხარჯი, როგორც ეს აღწერილია მე-11 განყოფილებაში - „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“;

უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში (ქართული ლარი, ლ), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

	USD / ლ	EUR/ლ
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.10	3.50
საშუალო გაცვლითი კურსი 2021 წელს	3.19	3.75
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.70	2.88
საშუალო გაცვლითი კურსი 2022 წელს	2.90	3.19

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდა ხდება საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის და მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. ჩასათვლელი დღე ზოგადად ამოღებადია გამომსვლელი დღე-ს მიმართ დღე-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები დღე-ს გადახდის ნებას რთავენ წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღე აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავალის მთლიან თანხაზე, დღე-ს ჩათვლით.

მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა დააკანონა მოგების გადასახადის ახალი („ესტონური“) მოდელი, რაც ძირითადად გულისხმობს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების დივიდენდად განაწილების შემთხვევაში (ნაცვლად მოგების დაბეგვრისა გამომუშავების მომენტში). შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიის დასაბეგრი მოგება არის გადახდილი დივიდენდების ტოლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შესაბამისი გადასახადი აღიარდება პირდაპირ კაპიტალში გადახდილ დივიდენდებთან ერთად. ამრიგად, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ წლებში არ არსებობს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი.

ანარიცხები (რეზერვები)

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შესაძლებელს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებებს ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან

შპს „ბასა გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათას ქართულ ლარში

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ექვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ანგარიშგების მომზადებისას არ არის გამოყენებული ისეთი სააღრიცხვო შეფასებები, რომლებიც დაკავშირებულია მომავალ ფინანსურ წელიწადში აქტივების და ვალდებულებების მიმდინარე ნაშთების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკთან.

4. საოპერაციო შემოსავალი

	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	12 890	13 820
სხვა შემოსავალი	-	16
ფასდათმობა და უკან დაბრუნება	(366)	(446)
სულ საოპერაციო შემოსავალი	12 524	13 390

5. ხარჯების გაზიფვრა მათი ფუნქციის მიხედვით

შემდეგი ცხრილები წარმოადგენს საოპერაციო შემოსავლის თვითღირებულებას და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს მათი ფუნქციის მიხედვით.

თვითღირებულება

	2022	2021
გამოყენებული მარაგები	8 548	9 162
მაღაზიების იჯარა	166	166
სულ თვითღირებულება	8 714	9 328

შპს „ბასა გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათას ქართულ ლარში

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
თანამშრომელთა კომპენსაცია	806	611
მოთხოვნების გაუფასურება	39	34
მარაგების გაუფასურების ხარჯი	9	362
ბანკის ხარჯი	50	49
საწვავი	54	38
კომუნალური	45	37
რემონტი და საექსპლუატაციო ხარჯი	42	35
კონვერტაციის ხარჯი	43	29
ოფისის და სამეურნეო ხარჯი	21	16
ქონების გადასახადი	18	14
კომუნიკაციის ხარჯი	13	14
მარკეტინგი	19	13
დაზღვევა	12	11
მომსახურების შესყიდვა	27	10
მივლინება	11	6
IT ხარჯი	4	4
ცვეთა და ამორტიზაცია	60	27
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	50	23
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1 323	1 333

პერიოდის განმავლობაში მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ცვლილება:

1 იანვარი 2021	365
პერიოდის რეზერვის ხარჯი	34
31 დეკემბერი 2021	399
პერიოდის რეზერვის ხარჯი	39
31 დეკემბერი 2021	438

6. ფინანსური ხარჯი, წმინდა

	2022	2021
საპროცენტო ხარჯი "თიბისი ბანკის" სესხი	120	131
საპროცენტო შემოსავალი	(1)	(5)
სულ საპროცენტო ხარჯი	119	126

შპს „ბასა გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათას ქართულ ლარში

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

7 ძირითადი საშაულებები

	მიწა	შენობა ნაგებობა	შენობა ნაგებობა (მშენებარე)	სატრანსპორტო საშაულებები	ავეჯი და ოფისის ტექნიკა	მანქანა დანადგარები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ღირებულება								
1 იანვარი 2021	437	-	1 080	58	171	15	9	1 770
შეძენა	-	-	46	19	51	3	2	121
გასვლა	-	-	-	(27)	(12)	-	(2)	(41)
31 დეკემბერი 2021	437	-	1 126	50	210	18	9	1 850
შეძენა	333	103	152	23	87	46	-	744
გადასვლა	-	1 278	(1 278)	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	770	1 381	-	73	297	64	9	2 594
დაგროვილი ცვეთა								
1 იანვარი 2021	-	-	-	2	37	2	2	43
პერიოდის ცვეთა	-	-	-	8	16	2	1	27
გასვლა	-	-	-	(7)	-	-	-	(7)
31 დეკემბერი 2021	-	-	-	3	53	4	3	63
პერიოდის ცვეთა	-	26	-	4	24	6	-	60
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	26	-	7	77	10	3	123
ნარჩენი ღირებულება								
1 იანვარი 2021	437	-	1 080	56	134	13	7	1 727
31 დეკემბერი 2021	437	-	1 126	47	157	14	6	1 787
31 დეკემბერი 2022	770	1 355	-	66	220	54	6	2 471

ბანკის გრძელვადიანი სესხით მოხდა მიწის და შენობა ნაგებობის შეძენა. მიწა და შენობა დაგირავებულია სესხის უზრუნველყოფისთვის (გ/შ 11). ცვეთის ხარჯი შედის საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

შპს „ბასა გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათას ქართულ ლარში

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

შედგება გასაყიდად გამიზნული მძიმე ტექნიკის სათადარიგო ნაწილებისგან.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.დეკ.22	31.დეკ.21
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშ. მხარეებისგან	244	59
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	1 539	1 316
გაუფასურების რეზერვი	(39)	(399)
სულ სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	1 744	976
გადახდილი ავანსები	599	2 195
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	51
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 347	3 222

მოთხოვნების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი.

10. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.დეკ.22	31.დეკ.21
ფული სალაროში	39	177
ფული ბანკში "სს საქართველოს ბანკი"	393	218
ფული ბანკში "სს თიბისი ბანკი"	39	5
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	471	400

11. მიღებული სესხები

		31.დეკ.22	31.დეკ.21
გრძელვადიანი სესხი სს „თიბისი ბანკისგან“ GEL 160	13,5%	-	6
გრძელვადიანი სესხი სს „თიბისი ბანკისგან“ GEL 750	13,5%	-	192
გრძელვადიანი სესხი სს „თიბისი ბანკისგან“ USD 250	8,0%	278	
სულ გრძელვადიანი სესხები		278	198
სს „თიბისი ბანკისგან“ სესხის მოკლევადიანი ნაწილი GEL 220	15,0%	-	7
სს „თიბისი ბანკისგან“ სესხის მოკლევადიანი ნაწილი GEL 220	15,0%	-	64
სს „თიბისი ბანკისგან“ სესხის მოკლევადიანი ნაწილი GEL 160	13,5%	-	60
სს „თიბისი ბანკისგან“ სესხის მოკლევადიანი ნაწილი GEL 750	13,5%	192	258
სს „თიბისი ბანკისგან“ საკრედიტო ხაზი GEL 440	13,5%	-	200
სს „თიბისი ბანკისგან“ საკრედიტო ხაზი GEL 300	13,5%	283	-
სს „თიბისი ბანკისგან“ სესხის მოკლევადიანი ნაწილი USD 250	8,0%	224	-
სულ მოკლევადიანი სესხები		699	589

შპს „ბასა გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათას ქართულ ლარში

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.დეკ.22	31.დეკ.21
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშ. მხარეების მიმართ	20	129
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	150	92
მიღებული ავანსები	28	25
საგადასახადო ვალდებულება	92	109
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	290	355

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი.

13. ინფორმაცია ფინანსურ რისკებზე

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი (დებიტორი) ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი (დავალიანება) ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტური მართვისთვის, კომპანია ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და საფასო რისკების მინიმიზაცია ყველა სახის ტრანზაქციებზე;
- „ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;
- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ზარის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

ფინანსური აქტივები	31.დეკ.22	31.დეკ.21
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 347	3 222
ფული და ფულის ექვივალენტები	471	400
	2 818	3 622

შპს „ბასა გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათას ქართულ ლარში

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები	31.დეკ.22	31.დეკ.21
გრძელვადიანი სესხი	977	787
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	290	355
	1 267	1 142

საკრედიტო რისკი

კომპანია აკონტროლებს საკრედიტო რისკს და ცდილობს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ჰქონდეს ურთიერთობა. კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკია:

	31.დეკ.22	31.დეკ.21
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 347	3 222
ფული ბანკში	432	223
	2 779	3 445

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს მოსალოდნელი გადახდის ვადების საფუძველზე.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებები დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით (საკონტრაქტო და დისკონტირებული ფულადი ნაკადები).

	1 წელზე ნაკლები	1-დან 3 წლამდე	სულ
გრძელვადიანი სესხი	699	278	977
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	290	-	290
31.დეკ.22	989	278	1 267

	1 წელზე ნაკლები	1-დან 3 წლამდე	სულ
გრძელვადიანი სესხი	589	198	787
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	355	-	355
31.დეკ.21	944	198	1 142

ამჟამად კომპანია თვლის, რომ გადაიხდის ყველა ვალდებულებას საკონტრაქტო ვადაში. ამისათვის კომპანია ელოდება საკმარის ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი ძირითადად ეხება სესხებს (გ/შ 11). ბანკი იტოვებს უფლებას, გაზარდოს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, მითითებული საკრედიტო ხელშეკრულებაში, თუ საბაზრო განაკვეთები გაიზარდება. მენეჯმენტი არ ელოდება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების არსებით ცვლილებას.

შპს „ბასა გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათას ქართულ ლარში

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში ნომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ისინი დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით:

	ლარი	აშშ. დოლარი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 347	-	2 347
ფული და ფულის ექვივალენტები	433	38	471
31.დეკ.22	2 780	38	2 818

	ლარი	აშშ. დოლარი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3 212	10	3 222
ფული და ფულის ექვივალენტები	286	114	400
31.დეკ.21	3 498	124	3 622

ფინანსური ვალდებულებები ვალუტების მიხედვით

	ლარი	აშშ. დოლარი	სულ
გრძელვადიანი სესხი	475	502	977
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	169	121	290
31.დეკ.22	644	623	1 267

	ლარი	აშშ. დოლარი	სულ
გრძელვადიანი სესხი	787	-	787
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	289	66	355
31.დეკ.21	1 076	66	1 142

სენსიტიურობის ანალიზი

ლარის გაცვლითი კურსის 20%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ, გაზრდის/შემცირებს მოგებას 117 ლარით (2021: 8 ლარით).

შპს „ბასა გრუპ“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათას ქართულ ლარში

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

14. დაკავშირებული მხარეები

	2022	2021
<i>ტრანზაქციების ოდენობა:</i>		
გაყიდვები მენეჯმენტის მიერ კონტროლირებულ საწარმოებზე	579	681
შესყიდვები მენეჯმენტის მიერ კონტროლირებულ საწარმოებისგან	69	204
მენეჯმენტის ანაზღაურება	208	192
<i>ნაშთები 31 დეკემბერს:</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული საწარმოები	244	59
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული საწარმოები	20	129

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას:

- კომპანიამ 2023 წლის განმავლობაში აიღო სესხი 300 ლარის და აშშ. 500 დოლარის ოდენობით;
- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ გაანაწილა 285 ლარის დივიდენდი;
- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოხდა კომპანიის კაპიტალის შემცირება 40 ლარით;
- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ მცხეთის რაიონში შეიძინა 21 ლარის მიწა